ახალი ხარაგაული

291 (18) 22 ივნისი, 2015 წ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ საქართველოს სახელმწიფო დროშები დაუშვეს

13 ივნისს თბილისში, ძლიერი წვიმის შედეგად მომხდარი სტიქიის გამო 2015 წლის 15 ივნისი საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ საქართველოს სახელმწიფო დროშები დაუშვეს. სახელმწიფო უწყებებზე ეროვნული დროშები მთელი დღის განმავლობაში იყო დაშვებული. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილთა ოჯახებს.

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებმა ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დადებითად შეაფასეს

11 ივნისს იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის გამგებელ კობა ლურსმანაშვილთან ერთად ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნენ. პირველ ეტაპზე სტუმრებმა ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს, შემდეგ კი თეთრაწყაროს ყოფილი საჯარო სკოლის- სარემონტო სამუშაოები. როგორც ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე განმარტავს, სკოლის რეაბილიტაციისთვის 140 ათასი ლარი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოიყო. აღნიშნულ თანხაში შენობას შეეცვალა სახურავი, კარ-ფანჯრები, მოეწყო სპორტული დარბაზი, ერთი სასწავლო ოთახი და სკოლის მთლიან შენობას გაუკეთდა სარინელი.

ამავე დღეს იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებმა მოინახულეს კიცხი-ხიდრის გზის მშენებლობა, ხიდრის საბავშვო ბაღი და სოფლის სარიტუალო დარბაზი. იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლმა ზურაბ გაბიძაშვილმა, ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დადებითად შეაფასა და აღნიშნა: ,,კმაყოფილი ვარ ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებით. ყველაფერი ხარისხიანად კეთდება. კიცხი-ხიდრის გზის რეაბილიტაცია მეტად მნიშვნელოვანი პროექტია. ამ სოფელში ასფალტი არასდროს ყოფილა და ახლა მოსახლეობას გადაადგილება გაუადვილდება. ეს კი ყველაფერი ცენტრალური ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, დამსახურებაა.“

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, განაცხადა რომ ხიდრის საჯარო სკოლამდე მისასვლელი 170 მეტრიანი გზაც მოასფალტდება და იგი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

სარაგაულის სოფლებში გაზსადენის მშენებლობა იწყება

,,სოკარ-ჯორჯია გაზი“ ხარაგაულში გაზიფიცირების სამუშაოების ახალ ეტაპს იწყებს. ბაზალეთი, თეთრაწყარო, ახალსოფელი, ჩხერი ეს ის სოფლებია, სადაც გაზსადენის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება. ამჟამად საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს და მას შპს ,,ცისფერი ალი“ ასრულებს. 11ივნისს პროექტირების სამუშაო ჯგუფი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს შეხვდა. შეხვედრაზე პროექტის სამუშაო ვარიანტი განიხილეს.

„გაზი ყველა სოფელს“ - ასე ეწოდება სახელმწიფო პროგრამას, რომლის ფარგლებშიც გაზიფიცირების შემდეგ ეტაპზე ხარაგაულის სხვა სოფლებიც ჩაერთვებიან. ,,ვფიქრობ, მუნიციპალიტეტმა ამ მიმართულებით კარგად იმუშავა და ინტენსიური საუბრების შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ გაზიფიცირების პროგრამაში ხარაგაულის ოთხი სოფელი ჩართულიყო. მინდა, მადლობა გადავუხადო ენერგეტიკის მინისტრს ბატონ კახი კალაძეს, რომელმაც თავის დანაპირები ხარაგაულთან მიმართებაში შეასრულა. უახლოეს მომავალში გაზიფიცირება სხვა სოფლებშიც განხორციელდება და ცენტრალური ხელისუფლების პროგრამა, რომელიც ყველა სოფლის გაზიფიცირებას ითავლისწინებს, სისრულეში იქნება მოყვანილი. არა მარტო ხარაგაულში, არამედ მთელ საქართველოში ჩვენი ხელისუფლების ყველა დაპირება შესრულდება,“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.

„ბაზალეთის მოსახლეობისათვის წლების განმავლობაში ოცნება იყო გაზიფიცირება“ - ამბობს ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი, ვარლამ ჭიპაშვილი და იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში გაზიფიცირების პროგრამაში ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სხვა სოფლებიც ჩაერთვებიან. იგი იმედოვნებს, რომ ეს პროექტი წარმატებით განხორციელდება და მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩება. ვარლამ ჭიპაშვილი ასევე მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს, იმ აქტიური მუშაობისათვის, რისი შედეგიც ხარაგაულის სოფლებში გაზიფიცირების დაწყებაა.

დღესდღეობით ხარაგაულში 465 აბონენტია გაზიფიცირებული. „სოკარ-ჯორჯია გაზის“, იმერეთის ხარაგაულის უბნიდან მიღებული ინფორმაციით უახლოეს მომავალში დამატებით 365 აბონენტი გაზიფიცირდება. ბაზალეთის, თეთრაწყაროს, ახალსოფლის, ჩხერის პოტენციურ აბონენტთა რაოდენობა გაზიფიცირების სამუშაოების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

ახალი ამბულატორია სრული დატვირთვით მუშაობს

უკვე ერთი თვეა რაც ხარაგაულში ემერჯენს ამბულატორია ფუნქციონირებს. სპეციალისტები პაციენტებს, როგორც გეგმიურ, ასევე გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას უწევენ. ამბულატორია აღჭურვილია ახალი სამედიცინო აპარატურით. გამოკვლევების ჩატარება თანამედროვე სტანდარტებით ხდება. ყოველი კვირის სამშაბათ დღეს პაციენტებს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრიდან მოწვეული სპეციალისტები ემსახურებიან. მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი პირადად გაეცნო ამბულატორიის მუშაობას და უფასო გამოკვლევებზე მისულ პაციენტებსაც გაესაუბრა.

მთავარი ექიმის, ქეთევან აბრამიშვილის თქმით, ამბულატორიაში გეგმიური მომსახურება ყოველდღიურად მიმდინარეობს და მომართვებმაც შედარებით მოიმატა: ,,სრული დატვირთვით ვმუშაობთ. დღიური მომართვიანობა 10 – 15 კაცით გაიზარდა. რადგან ამ ეტაპზე კადრების ნაკლებობას განვიცდით, რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრიდან ჩვენთან თანამშრომლების დანიშვნა მოხდა. ექოსკოპიური გამოკვლევის სპეციალისტი და ენდოკრინოლოგი ყოველ სამშაბათს ჩამოვლენ და პაციენტებს მოემსახურებიან. გაიზარდა ასევე ლაბორატორიული მომსახურების სერვისიც. ამბულატორიაში თითქმის ყველანაირი ლაბორატორიული გამოკვლევა გვაქვს: კოაგულოგრამა, აინეევი, კრეატინინი, ქოლესტერინი, ღვიძლის ფუნქციური სინჯები. იმ დღიდან მოყოლებული, როცა ახალი ხელმძღვანელობა ჩვენს პრობლემებს გაეცნო, ჩვენ გვერდით დადგნენ. შეგვპირდნენ, რომ გაგვიკეთებდნენ ახალ საავადმყოფოს და გააკეთეს კიდეც. მედპერსონალის მთელი შემადგენლობა კმაყოფილები და მადლიერები ვართ“ - აღნიშნა ქალბატონმა ქეთევანმა.

სოფელ ლაშის მცხოვრები ეთერ მანჯავიძე კმაყოფილია ხარაგაულის ამბულატორიაში მიღებული მომსახურებით და ამბობს, რომ ჩვენი რაიონისათვის ასეთი თანამედროვე ტიპის სამედიცინო დაწესებულების არსებობა დიდი შეღავათია.

ვარძიაში მცხოვრებმა მარინა ჩიჩილიძემ აბულატორიაში შინაგანი ორგანოების გამოკვლევა ჩაიტარა. მომსახურება მას უფასოდ გაუწიეს. ქალბატონი მარინა ამ ფაქტით ძალინ გახარებულია და მედპერსონალსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მადლობას უხდის.

შეხვედრის დასასრულს მუნიციპალიტეტის გამგებელს კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ.

კობა ლურსმანაშვილი: „პირადად გაეცნო ამბულატორიის მუშაობას. პაციენტების რაოდენობა ძალიან დიდია, რადგან ყველანაირი პირობა არსებობს იმისათვის, რომ მათ სათანადო დახმარება გაეწიოთ. შესაბამისად, გარემო ბევრად განსხვავებულია ვიდრე ეს ძველ საავადმყოფოში იყო. იმ ადამიანებს, ვინც საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობდა, თითქოს ამბულატორია არ მუშაობდა, მათ პასუხს თავად მოსახლეობა გასცემს. გავესაუბრე პაციენტებს, რომლებიც კმაყოფილები არიან ამბულატორიის საქმიანობით. ხარაგაულში საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ბევრი პროექტი ხორციელდება, როგორც სამედიცინო, ასევე სხვა ინფრასტრუქტურის მიმართულებით.“

ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით ხარაგაულის რკინიგზის სადგურიდან ემერჯენს ამბულატორიამდე მუნიციპალური ტრანსპორტი დაინიშნა. უახლოეს მომავალში კი ამბულატორიის გვარდით ორსართულიანი 15 საწოლიანი მრავალპროფილური კლინიკა გაიხსნება.

გვერდი მოამზადა
ეკა შავიძემ

ბაზალეთი-უბისის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება დაიწყო

ბაზალეთი-უბისის დამაკავშირებელი გზის მოასფალტების პირველი ეტაპი დაიწყო. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი მთლიანი ღირებულება ორი მილიონ ორმოცი ათას ლარს შეადგენს. პროექტი გარდამავალია და იგი სამი წელი გაგრძელდება. პირველ ეტაპზე 600 ათასი ლარი გაიხარჯება და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,ნიუ ვეივი" შეასრულებს. ბაზალეთი-უბისის დამაკავშირებელი 24 კილომეტრიანი მონაკვეთის მოასფალტება საბოლოოდ 2018 წელს დასრულდება.

15 ივნისს გზის სამშენებლო სამუშაოები ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, ქონებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, შალვა ლურსმანაშვილმა და იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისის თავმჯდმარემ მიხეილ გელაშვილმა მოინახულეს.

„ბაზალეთის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია ჩვენი მოსახლეობისთვის უდიდესი შეღავათია. ამ გზით არა მარტო ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის ოთხი სოფელი, არამედ სარგვეშის მოსახლეობაც ისარგებლებს", - ამბობს ვარლამ ჭიპაშვილი და აქვე დასძენს, რომ ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის ეს პროექტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის შალვა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, „პირველი სამუშაო ეტაპი სამ თვეში დასრულდება და გზა ბაზალეთის ადმინისტრაციულ შენობამდე მოასფალტდება. გაკეთდება 5 მეტრის სიგანის ასფალტი. პირველი ფენა 5 სანტიმეტრი იქნება, ხოლო მეორე - 4 სანტიმეტრი. ახალ გზას სანიაღვრე არხები მთელ სიგრძეზე გაჰყვება".

ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებლები სოფელში გზის მოასფალტებით გახარებულები არიან და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამენ.

კობა ჭიპაშვილი - ,,ბაზალეთის მოსახლეობისთვის გზის გაკეთება წლებია, ოცნებაა. ძალიან გახარებულები ვართ. შეუგნებელი და ბოღმიანი უნდა იყოს ადამიანი ასეთი სიკეთე ვერ დაინახოს. ყველაფერი ეს კი, ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის, ვარლამ ჭიპაშვილის, დამსახურებაა. ის აქტიურადაა ჩართული სოფლის პრობლემების მოგვარებაში და თითოეული ადამიანის გასაჭირი გულთან მიაქვს".

ბაზალეთში მცხოვრები ნანა ასანიძის თქმით, ის უკვე ოცდაათი წელია ამ სოფელში ცხოვრობს და ნორმალური გზა ამ ხნის მანძილზე არ ახსოვს. ახლა კი ამ ფაქტით ძალიან გახარებულია და მადლობას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს უხდის.

შეგახსენებთ, რომ ბაზალეთში ცენტრალური გზის რეაბილიტაციის პარალელურად ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის" ფარგლებში გარე განათების ქსელიც მოეწყობა.

ეკა შავიძე

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა მაღე ახალ შენობაში დაიდებს ბინას

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა ყოფილი სანეპიდსადგურის შენობაში განთავსდება. სარემონტო სამუშაოები თითქმის დასასრულს უახლოვდება და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,გურო" ასრულებს. შენობის რეაბილიტაციისათვის 100 ათასი ლარი რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოიყო. 9 ივნისს შენობაში მიმდინარე სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა და ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნიკოლოზ მაჭავარიანმა მოინახულეს. ახალ, თანამედროვე სტანდარტებს მისადაგებულ ბიბლიოთეკის შენობაში სამკითხველო დარბაზის გაკეთებაა დაგეგმილი, ასევე გათვალისწინებული იქნება მომსახურება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი კობა ლურსმანაშვილი განმარტავს, მას შემდეგ, რაც ცენტრალურ ბიბლიოთეკას დირექტორი შეეცვალა, სამსახურში მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება - „მოხდა თანამშრომელთა ხელფასების ზრდა. დაიწყო ინფრასტრუქტურის კუთხით მოწესრიგება. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა საბავშვო ბიბლიოთეკაშიც. რაც შეეხება, ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალ შენობაში განთავსებას, ვფიქრობ, ეს ხარაგაულისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია. ჩვენს რაიონში წიგნიერი ხალხი ცხოვრობს და ნამდვილად იმსახურებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბიბლიოთეკას. ახალი ბიბლიოთეკა შინარსობრივადაც ახლებურად იქნება დატვირთული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მკითხველისათვის" - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა.

ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის ნიკოლოზ მაჭავარიანის თქმით, ,,ბიბლიოთეკის ახალ შენობაში განთავსება, მნიშვნელოვანია როგორც მკითხველისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. ჩვენს მკითხველს ბევრ საინტერესო სიახლეს ვპირდებით. შემოტანილი იქნება ახალი, თანამედროვე ლიტერატურა.

სამსახურში ფართის პრობლემა წლებია არსებობს. მიმდინარე წელს კი, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, ეს პრობლემა მოგვარდება, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო მათ."

ეკა შავიძე

მარელისში ცენტრალურ სასოფლო გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდება

სოფელ მარელისში ცენტრალურ სასოფლო გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდება. პროექტის სავარაუდო ღირებულება 1 200 000 ლარია. რკინიგზის სადგურიდან სოფლის ცენტრამდე მისასვლელ 4 კილომეტრიან გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება. 16 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით აღნიშნული პროექტისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე ტენდერი გამოცხადდა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 5080 ლარია. პროექტის დასაფინანსებლად დონორების მოძიებაზე ადგილობრივი თვითმმართველობა იმუშავებს. 4 კილომეტრიან ასფალტ-ბეტონის გზას მთლიანად გაყვება ღვარსადენები. შესრულდება ასევე გზის დახაზვითი სამუშაოები და დაიდგმება საგზაო ნიშნები. გზის დაგების პარალელურად გათვალისწინებული იქნება 50 მმ მილების მოწყობა, რაც სამომავლოდ ასფალტ-ბეტონის საფარის ქვეშ წყლის შლანგების გასატარებლად იქნება საჭირო.

ხარაგაულს დიდი მიხეილ თამარაშვილის შთამომავლები და ქალაქ ახალციხის მერი გოგი კოპაძე სტუმრობდნენ

8 ივნისს ხარაგაულს დიდი მიხეილ თამარაშვილის შთამომავლები და ქალაქ ახალციხის მერი გოგი კოპაძე სტუმრობდნენ. სპეციალურად სტუმრებისთვის ხარაგაულის კინოთეატრში რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულმა თეატრმა სპექტაკლი „მოყვასისათვის შეწირულები" წარმოადგინა. სპექტაკლში მთელი სისრულითა და სიცხადით, რეალური და ტრაგიკული ისტორიებით ოთხი თავდადებული ქართველის: მიხეილ თამარაშვილის, მამა ილია კარტოზიას, გრიგოლ ფერაძისა და იოსებ ჟორდანიას ცხოვრება და მოღვაწეობაა წარმოდგენილი.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ სტუმრებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, მიესალმა და აღნიშნა, რომ ხარაგაული ორჯერ უფრო ამაყია, რადგან მუნიციპალიტეტში სტუმრად იმყოფებიან პატრიოტის, გმირისა და თავდადებული მამულიშვილის - მიხეილ თამარაშვილის შთამომავლები. „ვისურვებდი, რომ მუდამ გვქონდეს უნარი იმისა, რათა ყოველთვის დავაფასოთ ასეთი სტუმრები. ხოლო ჩვენი კულტურის მოღვაწეთა მიმართ, რომლებიც ქართული კულტურის წარმოჩენისა და დამსახურებული პიროვნებების უკვადავსაყოფად შრომობენ, მადლიერება თვალსაჩინოდ გამოეხატოთ. ჩვენთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი შინაარსობრივი სპექტაკლების ნახვა. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, თუ როგორი სამაგალითო წინაპრები გვყავდნენ. სწორედ, მათგან უნდა აიღონ მაგალითი: თავდადების, გმირობისა და სამშობლოს სიყვარულისა," - აღნიშნა გამგებელმა.

ანზორ თამარაშვილი (მიხეილ თამარაშვილის ძმის შვილიშვილი): „ქალბატონი იზა საოცრებაა, მე მას დღეს მიხეილ თამარაშვილის ნაშრომები გადავეცი, ის რაც მოვიპოვე და რაზეც ხელი მიმიწვდებოდა. აქ არის დისკი, რომელშიც არის ფილმი მიხეილ თამარაშვილზე. ფილმი რეზო თაბუკაშვილის მიერ არის გადაღებული და მას „კვალი ნათელი" ჰქვია. ასევე გადავეცი ჩვენი პატრიარქის, ილია მეორის სურათი, ეს იმ დროის ფოტოა, როცა უწმინდესი ახალი არჩეული იყო. იგი მაშინ მიხეილ თამარაშვილის დასაფლავებაზე სიტყვით გამოვიდა და საფლავიც აკურთხა."

ანზორ თამარაშვილმა იზა ვეფხვაძეს და ხარაგაულის სამუსიკო სკოლას მისივე ავტორობით შექმნილი მუსიკის მსოფლიო ენციკლოპედიის სახელმძღვანელო გადასცა საჩუქრად.

ზაზა თამარაშვილი (ქალაქ ახალციხის მერის მოადგილე, მიხეილ თამარაშვილის შთამომავალი): დღევანდელი დღე განსაკუთრებული ემოციებითაა აღსავსე. ქართველებისთვის ასეთი შინაარსის სპექტაკლები ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ მოვისმინეთ გამოჩენილი ოთხი ადამიანის თავგადასავალი. მათ სრულიად უცხო ადამიანებისათვის გასწირეს თავი და ეს მაგალითი უნდა იყოს მომავალი თაობისათვის. ქალბატონმა იზამ ნამდვილად ჭეშმარიტ ხელოვნებას გვაზიარა".

გოგი კოპაძე (ქალაქ ახალციხის მერი) - ქალბატონი იზას ნიჭით და შემოქმედებით აღფრთოვანებული ვარ. იგი მომავალ თაობას, სტუდენტებს აძლევს მაგალითს, რათა ისინი ჭეშმარიტ მამულიშვილებად აღიზარდონ. „მოყვასისათვის შეწირულები" უკვე მეორედ ვნახე და აღსანიშნავია, რომ იგივე ემოციები გამიჩნდა, რაც პირველი ნახვისას. სპექტაკლი ძალიან ფრთხილ თემებს ეხება, თავგანწირვას, სამშობლოს სიყვარულს. დიდი ქართველია ქალბატონი იზა და დიდ საქმესაც აკეთებს. მინდა, მადლობა გადავუხადო მას და ხარაგაულის ხელმძღვანელობას მოწვევისათვის".

ნუგზარ თამარაშვილმა ქალბატონ იზას, პატივისცემის ნიშნად, საკუთარი ხელით შესრულებული მიხეილ თამარაშვილის პორტრეტი გადასცა საჩუქრად.

თეა ბერიძე,
მთავარი სპეციალისტი
საზოგადოებასთან
ურთიერთობის საკითხებში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის № 53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ მოხსენებითი ბარათი

1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის # 994 და 2 ივნისის # 1132 განკარგულებების საფუძველზე ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 20 იანვრის # 39 განკარგულებაში, რის შედეგადაც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 689 870 (ექვსასოთხმოცდაცხრაათას რვაასსამოცდაათი) ლარი , აქედან 199 947 (ასოთხმოცდაცხრამეტიათას ცხრაასორმოცდაშვიდი) ლარი მიმართულია დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოსა და მის მიმდებარე დევდარიანი, გურამიშვილის და ჭიპაშვილის ქუჩებზე წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად.

489 923 (ოთხასოთხმოცდაცხრაათას ცხრაასოცდასამი) ლარი დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის სარეაბილიტაციოდ.

სულ ამ ეტაპზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი აქვს 2 545 191 (ორმილიონ ხუთას ორმოცდახუთიათას ასოთხმოცდათერთმეტი) ლარი.

2. აუცილებლობიდან გამომდინარე საჭიროა 2015 წლის პირველი იანვრისათვის არსებული თავისუფალი ნაშთის განაწილება 56 ,3 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

- წინა 2014 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამით (20.03. N 471 განკარგ) დარჩენილი 7,2 ათასი ლარი მიმართული იქნას მიმდინარე წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ხარჯებში მუნიციპალიტეტში სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოების შესასრულებლად;
- 5,0 ათასი ლარი ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი;
- 7,1 ათასი ლარი ა(ა)იპ ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი;
- 22,5 ათასი ლარი ა(ა)იპ კეთილმოწყობა;
- 5,0 ათასი ლარი ა(ა)იპ ლიტერატურულ თეატრი;
- 2.0 ათასი ლარი ა(ა)იპ კულტურის ცენტრი.
- 3,0 ათასი ლარი შპს ,,ხარაგაული -2011“ -ს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის;
- 4,5 ათასი ლარი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის მომსახურეობის შესასყიდად მიმდინარე წლის დარჩენილ პერიოდში. (მომსახურება შეძენილი იქნება ელექტრონული ტენდერით) ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე :

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 9 169 900 ლარი გაიზარდოს 689 870 ლარით განისაზღვროს 9 859 770 ლარით;

-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში 9 752 200 ლარი გაიზარდოს 746 170 ლარით და განისაზღვროს 10 498 370 ლარით. (აღნიშნული ხარჯების დაფინანსების წყაროდ გამოყენებული იქნას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებით 689 870 ლარი და 2015 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების ნაშთიდან 56 300 ლარი).

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვლადიმერ გელაშვილი

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ 2014-2015

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს გამგეობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარების და მშენებლობის საკითხების კორდინაციას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს. ზემოთ ხსენებულ საკითხებზე საკრებულოსა და გამგებლის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2014 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 009 883 ლარი. აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტში დაიგეგმა და განხორციელდა 11 ობიექტეის მშენებლობა-რეაბილიტაცია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიუნიციპალიტეტს მთავრობის განკარგულებით გამოეყო 770 163 ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში განხორციელდა 200 ინფრასტრუქტურული პროექტი. მუნიციპალიტეტში 2014 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები:

პრიორიტეტული მიმართულებები იყო:

1.სასოფლო და საუბნო გზების შეკეთება - 95 385 ლარი;

2.შენობის რეაბილიტაცია 3 პროექტი - 18 576 ლარი;

3.ბაღები 2 პროექტი - 49 191 ლარი;

4.ხიდბოგირები 3 პროექტი - 15 933 ლარი;

5.წყალმომარაგება 1 პროექტი - 4 499 ლარი;

6.მრავალბინიანი სახლები-27 500 ლარი;

7.სანიაღვრე არხები-8 600 ლარი;

8.კულტურული ობიექტები-67 800 ლარი;

9.ადმინისტრაციული შენობები-51 400 ლარი;

10.სხვა პროექტები —81 955 ლარი;

2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან განხორციელებულ 200 პროექტზე, რგფ-ის მიერ მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებიდან განხორციელებულ 11 პროექტს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან განხორციელებულ სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურულ პროექტებს ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაეწია ზედმხედველობა.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების შემდეგ პირგასამტეხლო სამუშაოების ვადის გადაცილებისათვის დაეკისრათ; კიცხი-ხიდრის გზის მოასფალტების სამუშაოების შემსრულებელს შპს „გეკა“-ს 82060 ლარი, ბორითის ა/ე საბავშო ბაღის საამშენებლო სამუშაოების შემსრულებელს შპს „ტუ-კა“-ს 3315 ლარი, მოლითის ა/ე სოფ. ნებოძირში დასასვენებელი სკვერის მოწყობის სამუშაოების შემსრულებელ ი/მ მერაბ გიორგაძეს 1465 ლარი, ინდ.მეწარმე ფრიდონ კამკამიძეს #253 და #255 ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის 1206 ლარი, წყალაფორეთის ა/ე საბავშო ბაღის საამშენებლო სამუშაოების შემსრულებელს შპს „ველს“ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის 5599 ლარი, კიცხის ა/ე სას. კლუბის შეკეთების სამუშაოების შემსრულებელს შპს „მშენებელი პრველს“ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის 1548 ლარი. სულ პირგასამტეხლოს სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 95 193 ლარი.

ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაობის მიმდინარეობის პროცესში და ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხში ფართოდ იყო ჩართული შესაბამისი სოფლების საზოგადიოებრივი მონიტორინგის ჯგუფები. შეიძლება ითქვას რომ პროექტების აბსოლიტური უმრავლესობა მაღალხარისხიანად შესრულდა.

ზოგადად 2014 წელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მხრივ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის საკმაოდ წარმატებული იყო. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული კუთხით რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებს შორის მოწინავე პოზიციები დაიკავა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2014 წელს გაცემულია 6 ნებართვა საამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებისათვის.

1) საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია (ზ. დევდარიანი) დაბა ხარაგაული 9 აპრილის N 16

2) საცხოვრებელი სახლი (ც. მაჭავარიანი) სოფ. კიცხი

3) საცხოვრებელი სახლი (დოლიკაშვილი) სოფ. კიცხი

4) სავაჭრო ობიექტი (ლ. ლაცაბიძე) დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის N 82

5) საცხოვრებელი სახლი (ტ. ხიჯაკაძე) სოფ. ვარძია

6) თევზ საშენი (ა. მაჭავარიანი) სოფ. ლაშე

საამშენებლო, სარეკონსტრუქციო და მიშენების პროექტების შეთანხმება 8 სხვადასხვა ობიექტზე.

1) ი.მ. პ.მჭედლიძის ობიექტის გარე ელ. მომარაგების ნახაზი სოფ. ღორეშაში

2) ბორითის ტერიტორიული ორგანოს ობიექტის გარე ელ. მომარაგების ნახაზი სოფ. ბორითი

3) ამბულატორია, ასაწყობი კომპლექსი სოფ. წიფა

4) საბავშვო ბაღი, სოფ. ხიდარი

5) საცხოვრებელი სახლი (ტ. მაჭავარიანი) სოფ კიცხი

6) საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია (ზ.დევდარიანი) დაბა 9 აპრილის N 16

7) ა. მაჭავარიანის ობიექტის გარე ელ. მომარაგების ნახაზი სოფ. ლაშე

8) თევზ საშენი (ა. მაჭავარიანი) სოფ. ლაშე

მშენებლობის ნებართვის გაცემა ორ ობიექტზე.

1) მაღაზია (გივი მაღლაფერიძე) დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის N 16

2) საბავშვო ბაღი (სოფელი ხიდრი)

ვარგისად აღიარების ბრძანება ხუთ ობიექტზე.

1) ისლარი-ფარცხნალი ქუჩის განათება

2) ხარაგაული საქარქედი ქუჩის განათება

3) ბორითი მაქათუბანი ქუჩის განათება

4) სოფელ ღარიხევის ბრუისის უბნის განათება

5) სოფელ წიფის ამბულატორია

მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებულ ყველა იმ პროექტზე, რომელიც საჭიროებდა ნებართვების გაცემას. შესაბამისად გაიცა ვარგისად აღიარების ბრძანება ყველა დასრულებულ პროექტზე.

ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ, 2015 წელს გაცემული ტექნიკური პირობები (იანვარი - ივნისი)

სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემა 6 სამშენებლო ობიექტზე:

1. გოჩა შარიქაძის საცხოვრებელი სახლი, სოფ. ფარცხნალი
2. ალექსანდრე გაგოშიძის საცხოვრებელი, სახლი სოფ. კიცხი
3. ტურისტული ინფრასტრუქტურა, სოფ. უბისა
4. გადაუდებელი დახმარების კლინიკა, დაბა ხარაგაული, გ. დევდარიანის N8
5. შ.პ.ს. „მაგთიკომი“-ს საბაზო სადგური, სოფ. ვარძია
6. საავადმყოფო 14 საწოლზე, დაბა ხარაგაული, გ. დევდარიანის N8

სამშენებლო, სარეკონსტრუქციო, სამონტაჟო და მიშენების პროექტის შეთანxმება 15 სxვადასxვა ობიექტზე:

1. შ.პ.ს. „ჯეოსელი“-ს ფიჭური რადიოსატელეფონო სადგური, სოფ. ჭარტალი
2. ბადრი ვეფხვაძის ობიექტის ელ-მომარაგება, დაბა ხარაგაული
3. ტურისტული ინფრასტრუქტურა, სოფ. უბისა
4. ალექსანდრე გაგოშიძის საცხოვრებელი, სახლი სოფ. კიცხი
5. გოჩა შარიქაძის საცხოვრებელი სახლი, სოფ. ფარცხნალი
6. გადაუდებელი დახმარების კლინიკა, დაბა ხარაგაული, გ. დევდარიანის N8
7. უჩა ცხადაძის სარიტუალო დარბაზის ტუალეტის რეკონსტრუქცია, დაბა ხარაგაული
8. შ.პ.ს. „მაგთიკომი“-ს საბაზო სადგური, სოფ. ვარძია
9. სარიტუალო დარბაზის ელ-მომარაგება, სოფელი ციცქიური
10. საბავშვო ბაღის ელ-მომარაგება, სოფელი ზვარე
11. საავადმყოფო 14 საწოლზე, დაბა ხარაგაული, გ. დევდარიანის N8
12. გამგეობის საზოგადოებრივი ცენტრის ელ-მომარაგება, სოფელი ღორეშა
13. რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის ელ-მომარაგება, დაბა ხარაგაული, გ. დევდარიანის N8
14. ამხანაგობა „ვარდისუბანი I“ კუთვნილ საერთო-საცხოვრებელში, მერაბი იჩქიტიძის ბინაზე, აივნის ადგილზე კიბის მიშენება, დაბა ხარაგაული, დეკანოსიძის ქუჩა N3
15. უბისის ინფრაქტრუქტურული ობიექტის წყალმომარაგება-კანალიზაციის პროექტი.

მშენებლობის ნებართვის გაცემა 4 ობიექტზე

1) 1) შ.პ.ს. „ჯეოსელი“-ს ფიჭური რადიოსატელეფონო სადგური, სოფ. ჭარტალი

2) ტურისტული ინფრასტრუქტურა, სოფ. უბისა

3) გოჩა შარიქაძის საცხოვრებელი სახლი, სოფ. ფარცხნალი

4) შ.პ.ს. „მაგთიკომი“-ს საბაზო სადგური, სოფ. ვარძია

ვარგისად აღიარება 4 ობიექტზე:

1. გივი მაღლაფერიძის მაღაზია, დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის N 16.
2. სარიტუალო დარბაზის ელ-მომარაგება, სოფელი ციცქიური.
3. სარიტუალო დარბაზის ელ-მომარაგება, სოფელი წაქვა.
4. სარიტუალო დარბაზის ელ-მომარაგება, სოფელი გრიგალათი.

2015 წლისათვის რგფ-ფონდის სამოქნედო გეგმის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 8 ინფრასტრუქტურული ობიექტის განხორციელება დაიგეგმა:

1.ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია სატენდერო თანხა- 642 357 ლარი;

2.ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა გამოყოფილი თანხა - 300 000 ლარი;

3.კიცხი ხიდარის გზის რეაბილიტაცია სახელშეკრულებო ღირებულება- 683 698 ლარი; (643000)

4.დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სახელშეკრულებო ღირებულება-38 791;

5.დაბა ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის არსებული შენობის რეაბილიტაცია სახელშეკრულებო ღირებულება - 83 950 ლარი;

6.დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოსა და მისი მიმდებარე ქუჩების დევდარიანი, გურამიშვილი და ჭიპაშვილი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-200 000 ლარი;

7.დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია გამოყოფილი თანხა- 450 000;

8.ბორითი-მარიამწყარო-ღორეშას გზის რეაბილიტაცია გაფორმებული კონტრაქტის ღირებულება-120 000 ლარი;

დღეის მდგომარეობით:

ერთ ობიექტზე კიცხი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ინტენსიურად, შესრულებულია სამუშაოების 75 %. პროექტის მიმდნარეობის პროცესში ხშირი წვიმების გამო მოხდა გზის მონაკვეთის ჩანგრევა სადაც საჭირო გახდა 30 მეტრის სიგრძეზე გაბიონის მოწყობა.

ორ ობიექტზე: ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის შენობის რეაბილიტაცია და დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ხელშეკრულება გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებულია და სამუშაოები მიმდინარეობს ინტენსიურად.

ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაციაზე ხელშეკრულება გაფორმებულია ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან, სამუშაოები დაიწყება კარიერის გამოყოფის შემდეგ.

ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე ხელშეკრულება გაფორმებულია ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან. მიმდინარეობს მშენებლობის პროცესისათვის მოსამზადებელი სამუშაოები.

დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის საამშენებლო სამუშაოების შესასყდად გამოცხადებულია ტენდერი. აღნიშნულ ტენდერში 11 ივნისის მდგომარეობით მიმდინარეობს შერჩევა შეფასება გამარჯვებულის გამოსავლენად.

დაბა ხარაგაულში მშენებარე სავადმყოფოს და მისი მიმდებარე ქუჩების წყალმომარაგების სისტემის მოწყობის საპროექტო სამუშაოები დასრულებულია.

ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობის საპროექტო სამუშაოებზე ტენდერში გამარჯვებული გამოვლენილია გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმებულია და მიმდინარებს პროექტზე მუშაობა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 12 მარტის N 506 განკარგულებით 2015 წლისათვის გამოეყო 767 473 ლარი. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ამ თანხიდან 157 473 ლარი მიმართულია სოფელ კიცხში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისათვის. 610 000 ლარი გადანაწილდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებისათვის რითაც განხორციელდება 124 ინფრასტრუქტურული პროექტი.

პრიორიტეტული მიმართულებებია:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2015 წელს ინფარსტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის დაიხარჯება 325 000 ლარი.

პრიორიტეტული მიმართულებებია:

1.გზები-160 000 ლარი;

2.ხიდები,ხიდ-ბოგირები-80 000 ლარი;

3.სანიაღვრე დასაკანალიზაციო არხები, საყრდენი კედლები-10 000 ლარი;

4.მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქცია-50 000 ლარი;

5.წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია-25 000 ლარი;

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ყველა დაგეგმილ განსახორციელებელ პროექტზე შესაბამის სამსახურებთან და გამგებლის 2015 წლის 19 თებერვლის N49 89 ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ბის და შ.პ.ს-ს მიერ შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შემოწმების მიზნით შექმნილი კონტროლის ჯგუფთან ერთად მოხდება ზედამხედველობა შესასრულებელ სამუშაოებზე და მისი მიღება ჩაბარება. ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური კომპენტენციის ფარგლებში შეისწავლის და მოახდენს შესაბამის რეაგირებას მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე. სამსახურის თანამშრომლები დებულებით განსაზღვრული უფლება მოვალეობის გარდა ჩართული არიან მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობაში

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ 2014 ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამები ითვალისწინებს გადამდები და სოციალურად საშიში დაავადებების მნიშვნელოვნად შემცირებას, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის დონის შენარჩუნებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მისაღწევად ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში თავის მხრივ არის ჩართული ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი. განსაკუთრებით საშიში და სხვა რეგისტრირებადი გადამდები დაავადებების შეტყობინების, გამოკვლევის და ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით ჩართული ვართ ქვეყნის მაშტაბით უთიერთდაკავშირებული კომპიუტერულ მონაცემთა მართვის სისტემის და დაავადებათა ეპიდზედამხედველობის ინტეგრირელული, ელექტრონული სისტემის /EIDSS/ გაერთიანებაში.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი მდებარეობს სოლომონ მეფის ქ. N 19ა-ში. უჭირავს 168 კვ.მ. ფართობი, აღჭურვილი არის ოფისისათვის საჭირო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. თუმცა EIDშშ-ის პროგრამაში ჩართული კომპიუტერი გაუმართავად მუშაობს და ესაჭიროება შეცვლა.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი დაკომპლექტებულია 20 შაშტატო ერთეულით.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ფუნქციები ითვალისწინებს ძირითადად: მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას, მონიტორინგის დაავადებათა ეპიდზედამხედველობაზე, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს: შემთხვევათა /ეპიდფეთქებათა/ გამოვლენას, რეგისტრაციას, კვლევას, დადასტურებას, ანალიზს, მონაცემთა ანგარიშგებას, საპასუხო რეაგირებას და მზადყოფნასთან დაკავშირებულ მოქმედებებს, უკუკავშირს და კომუნიკაციას, მონიტორინგს იმუნიზაციაზე, სამიზნე კონტიგენტის აცრებით მოცვის მაღალი მაჩვენებელის მიღწევაზე.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ როგორც მეორადი, ისე პირველადი საზოგადოებრივი ჯანდაცვის რგოლები.გასული 2014 წლის ბოლოს /ნოემბრის თვეში/ პირველადი ჯანდაცვის რგოლებიდან /ს/ამბულატორიების ფ/პირებიდან/ მივიღეთ ფორმა 1.3 /სამიზნე კონტიგენტის მართვად ინფექციებზე ასაცრელი/ რაიონის მასშტაბით მიმდინარე სამუშაო წლის პროფილაქტიკური აცრების საორიენტაციო გეგმის შესადგენად, მოხდა მონაცემების დამუშავება, გაკეთდა ნაერთი რაიონის ასაცრელად, სამიზნე კონტიგენტი /ფორმა 2.3/ და წარედგინა რეგიონალურ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს. შედგენილი ფორმა 2.3-ის მიხედვით ხდება საჭირო ასაცრელი მასალის წლიური საჭიროებისათვის მოთხოვნის შედგენა /ფორმა 2.10-ის შევსება/, რომელიც ფორმა 2.3-თან ერთად წარედგინება რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრს.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი აღჭურვილია მაცივრებით ასაცრელი მასალის შესანახად. ასაცრელი მასალა ინახება ოპტიმალურ ტემპერატურაზე /+2-+80ც/, ტემპერატურის აღრიცხვა და დაფიქსირება ხდება ყოველდღიურად დღეში ორჯერ დილა-საღამოს /ფორმა 1.7-ში/.

პირველადი ჯანდაცვის რგოლების უმრავლესობა აღჭურვილია მაცივრებით ასაცრელი მასალის შესანახად. არ აქვთ მაცივარი ხევის, ხიდრის უბნებს. აქვთ მაცივარი მაგრამ არ მუშაობს ლაშის ს/უბანზე.. აღნიშნულ მაცივარში

დღიდან მისი მიღებისა ვერ მოხერხდა ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირება. წყალაფორეთის ს/უბანზე მაცივარი არ მუშაობს ელ.ენერგიის შენობაში არ ყოფნის გამო. Mმსგავსი პრობლემებია უმრავლეს უბანზე. შენობები არ არის აყვანილი ბალანსზე, ამიტომ ელექტრო კომპანია არ აძლევს მრიცხველის დადგმის უფლებას. აღნიშნული პრობლემა დიდიხანია დასმული და ზოგადად სახელმწიფოში მოუგვარებელია. იმ უბნებში, სადაც მუშაობს მაცივრები ასაცრელი ინახება ოპტიმალურ ტემპერატურაზე ნაწარმოები არის თერმომეტრიის აღრიცხვა ფორმა 1.7. მოქმედებაში არის გახსნილი ფლაკონის პოლიტიკა, ვაქცინების დანაკარგი შემცირებულია მინიმუმამდე. Gგახსნილ ფლაკონზე მითითებულია გახსნის თარიღი. /რიცხვი, თვე, წელი/ ხოლო ვაქცინა, რომელიც მუშაობს მხოლოდ ერთი სამუშაო დღე მითითებულია გახსნის თვე, რიცხვი და საათი.

ყველა უბანს აქვს ,,ცივი ყუთი“ ვაქცინის ტრანსპორტირებისთვის.

იმ უბნებს, ვისაც არ აქვს მაცივრები, ასაცრელი მასალა მიაქვთ აცრის წინა დღით ან აცრის დღეს და ვაქვინა ინახება ცივ ყუთში ყინულის ელემენტებთან და თერმომეტრთან ერთდ.

გასული საანგარიშო წლის პროფ. აცრების გეგმა-შესრულება ასეთია:

ვაქცინის დასახელება	გეგმა	შესრულება	%	
1	ბ. ც. ჟ. ჰეპატიტი B	20	1	5
2	პოლიო, დყტ+ჰიბი+ჰეპატიტი B-3, როტა-2, პნევმო-3	180	178	98
3	წითელა-წითურა-ყბაყურა 1 წლის	154	151	98
4	დ.ყ.ტ-4/18-24 თვის	178	174	97
5	პოლიო –4 /18-24 თვის/	178	174	97
6	დ. ტ. 5 წლის	179	172	96
7	პოლიო – 5 წლის	179	176	98
8	Pწწყ – 5 წლის	179	168	94
9	ტ.დ. - 14 წლის	211	202	96

ცნობად იქნას მიღებული, რომ ბ.ც.ჟ., ჰეპატიტი B –ს ვაქცინაციის გეგმა სამიანო განყოფილებაში 2014 წლისათვის იყო 20. ფაქტიურად შობადობა 2014 წელში იყო მეშვიდე თვეში 1. ახალშობილს ჩაუტარდა ვაქცინაცია. შესრულების პროცენტი ფაქტიურად არის 100%.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31. 05. # 550 განკარგულებით ,,წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ – მოვახდინეთ ასაცრელი კონტიგენტის დაზუსტება. მოხდა წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაცია. არასრულად იმუნიზირებული 2-6 წლამდე ბავშვების 7-13 წლის, მიუხედავად აცრის სტატუსისა 14 წლის, 15-29 წლის კონტიგენტი, სამედიცინო პერსონალი, კონტაქტირებულები და სხვა კონტიგენტი. საანგარიშო პერიოდში გადაიცრა 2-6 წლის – 5. 7-13 ნელი – 26. 14 წლის – 165. 15-29 წლი – 1071, კონტაქტირებულები 13. სამედიცინო პესონალი – 5. სხვა კონიგენტი – 90. სულ 1375 პირი.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში ყოველთვიურად ხდებოდა პოლიკლინიკის, საავადმყოფოს, საექიმო უბნების პირველადი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის რგოლების მონიტორინგი ეპიდ. ზედამხედველობის და იმუნიზაციის მიზნით გრაფუკულად და საჭიროებისას.

ყველა უბანი არის უზრუნველყოფილი მეთოდური მითითებებით და სამუშაო წიგნებით, ყველას აქვს ინფექციურ დაავადებათა აღრიცხვის ფორმა N60/ა.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში ხდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაავადებების შემთხვევების შეტყობინების მიღება, დაფიქ სირება-აღრიცხვა. კერების გამოკვლევა. ინფექციის წყაროს გამოვლენა,

კერის დამუშავება, კონტაქტების დადგენა, საჭიროების შემთხვევაში გამოკვლევა, აღრიცხვა, ავადმყოფის იზოლაცია თუ ბინაზეა ინფექციის შესაბამისად

ზედამხედველობა, საჭიროების შემთხვევაში ვახდენთ მონაცემთა ანგარიშგებას და საპასუხო რეაგირებას.

2014 საანგარიშო წლის განმავლობაში დაავადებათა სარეგისტრაციო ჟურნალში ფორმა # 60/ა აღრიცხულია: წითელა – 23 შემთხვევა, ყველა შემთხვევის კერა იყო შესწავლილი, გამოკვლეული, უმეტეს შემთხვევაში დადგენილი იყო ინფექციის წყარო, დადგენილი იქნა კონტაქტში მყოფი პირები და ჩაუტარდათ წწყ-ს ვაქცინით აცრები, იმ პირებს რომლებიც ექვემდებარებოდნენ აცრებს. სულ ჩაუტარდა აცრა 13 კონტაქტირებულ პირს. წითელას შემთხვევების დროს გვქონდა მიბმული ეპიდ. აფეთქება. 15-49 წლის ასაკის ქალის სიკვდილი – 1 შემთხვევა. შემთხვევა გამოკვლეულია და შევსილია პრატოკოლი. ავადმყოფი კორაძე-გაჩეჩილაძე ნათია 34 წლის მცხოვრები დიდვაკეში, გარდაიცვალა ინგროოყვას კლინიკაში. დიაგნოზი - ცერებრალური ანევრიზა G46.1

ტუბერკულოზი – ფილვის ფორმა და ფილტვგარეშე სულ 9 შემთხვევა, ყველა გამოკვლეულია, კერა დადგენილი, კონტაქტები გამოკვლეული, და დაავადებულები არის ჩართული მკურნალობაში.

ვირუსული მენინგიტი – 3. ჩუტყვავილა – 7. წითურა – 2. შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი -2. საკვების მიერი მოშხამვა /სოკოთი/-4. შხამიანი მწერი ნაკბენი – 48.

ცოფისრისკის მქონე ექსპოზიცია 402. ყველა დამკბენ ცხოველზე არის გაგზავნილი შეტყობინება ვეტ. სამსახურში, დამკბენ ცხოველზე ვეტ. ზედამხედველობის დასამყარებლად – შესამამისად ვეტ. სამსახურიდან პასუხის მიღების შემდეგ კერა იხურება, დაკბენილ პირებს ანტირაბიულ კაბინეტში უტარდებათ ტეტანუსის აქტიურ-პასიური იმუნიზაცია და ანტირაბიული აცრები ინსტრუქციის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში ცოფის შემთხვევა არ გვქონია.

ასაცრელი მასალა – ანტირაბიული ვაქცინა და იმუნოგლობულინი იყო წლის განმავლობაში შეუფერხებლად.

საანგარიშო ნელში იანვრის თვიდან მაისამდე და ნოემბრის თვიდან იანვრამდე ვაგზავნიდით ყოველკვირეულ ანგარიშს გრიპისმაგვარ დაავადებებზე, რომელიც გაგრძელდება 2015 წლის მაისამდე.

მიმდინარე წელში პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიაში თვითდინებით მომართა 286 მოქალაქემ, ასევე ჩატარდა გეგმიური შემოწმება ხარაგაულის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, პარაზიტულ დაავადება ენტერობიოზზე გამოკვლევა ჩაუტარდა 144 აღსაზრდელს.

პარაზიტული დაავადების პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 15 % დაავადება ასკარიდოზის შემთხვევაში და 12 % დაავადება ენტერობიოზის შემთხვევაში.

მოსახლეობის სამედიცინო განათლების დონის ამაღლების მიზნით ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაციული წერილი.

1 წლის განმავლობაში ენტომოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარებული იქნა რიგი ღონისძიებები. წლის დასასწყისში გაკეთდა მთელი რაიონის მასშტაბით არსებული წყალსატევების აღრიცხვა-პასპორტიზაცია დაბასა და რაიონის 11 სოფელში. აღნიშნულ ტერიტორიაზე არის 7 ტბა. ლეღვანში 1, წყალაფორეთში 1, ვახანში 4. კიცხში – კერძოდ საქარიქედზე 1. ჭაობები და დაჭაობებული ადგილები, ასევე მდინარის ნაპირები და სხვა წყალსატევები შეადგენს 18 ჰა-ს.

ანოფელოგენურმა ფართობმა კი შეადგინა 15 ჰა. ეს ტერიტორია ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს როგორც მალარიის გადამტანი, ასევე არამალარიული კოღოების წყლის ფაზების განვითარებისათვის.

ჩატარდა კოღოს გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები. გაიწმინდა მცენარეულობისაგან 790 მ2. დაშრა და ამოიცსო დაჭაობებული ადგილები 1900 მ2.

პროფილაქტიკა წარმოადგენს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიურ და სამედიცინო ამოცანას, მოსახლეობის პროფილაქტიკური განათლებისა და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით მიმდინარე ნელს ჩატარებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

სასწავლო, სააღმზრდელო დაწესებულებებში წყალმომარაგების, სანიტარიისა და ჰიგიენის მდგომარეობის შესაფასებელი იქნა ხარაგაულის რაიონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოფუნქციონირე 26 საჯარო სკოლა (მათ შორის 1 სკოლა-პანსიონი და 1 სასულიერო გიმნაზია), რომელშიც სწავლობს 2334 მოსწავლე, მათ შორის 1216-ბიჭი და 1118-გოგო, ხოლო დასაქმებული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 782-ს. და 12 საბავშვო ბაღი სადაც 440 აღსაზრდელია, მათ შორის 211 ბიჭი და 193 გოგო, დასაქმებული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 109-ს.

დაბის ტერიტორიაზე მოფუნქციონირე სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში პრობლემას წარმოადგენს წყლის წყვეტილობა, ღებულობენ გრაფიკით, ხოლო სოფლის სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებები ძირითადად სარგებლობენ ადგილობრივი წყაროს წყლით, რომელიც შემოყვანილი აქვთ ინდივიდუალურად დაწესებულების ეზოში. მარელისის საჯარო სკოლაში წყლის რეზერვუარის სანიტარული დამუშავება არის აუცილებელი, ლეღვნის საჯარო სკოლას ესაჭიროება წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა, ხოლო #3 კორპუსში ეზოში წყლის შეყვანა. წიფის საჯარო სკოლას ესაჭიროება წყალმომარაგების სისტემის შეკეთება, რომ სკოლას წყალი მიეწოდოს საკუთარი მილებით წყლის ავზიდან. კიცხის საჯარო სკოლას აქვს წყლის პრობლემა, არის ტექნიკურად გაუმართავი, სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლას არ აქვს წყალი და დამლაგებელს მოაქვს ვედროებით.

ტუალეტში წყალმომარაგების წერტილები არ არის თითქმის არცერთ სკოლაში, არის ტუალეტთან ახლოს ან ეზოში, მაგრამ არ არის სათანადოდ აღჭურვილი, არ დევს მუდმივად საპონი (ამის მიზეზად ძირითადად სახელდება მოსწავლის მიერ საპნის არამიზნობრივი გამოყენება), არ დევს ხელის გასამშრალებელი საშუალება, ხოლო ბაღებში ხელის გასამშრალებელ საშუალებად იყენებენ ინდივიდუალურ პირსახოცებს.

სკოლებში არ ფუნქციონირებს ბუფეტი/სამზარეულო, გამონაკლის წარმოადგენს მარელისის, ხიდრის საჯარო სკოლები და ბორის სკოლა პანსიონი.

ყველა საჯარო სკოლაში ტუალეტი არის კაპიტალური შენობა რომელიც დაყოფილია ბიჭებისათვის, გოგონებისათვის და პერსონალისათვის, ორმოზე და არ არის ჩარეცხვადი. (გამონაკლისია ბორის სკოლა-პანსიონი, დაბის #3 საჯარო სკოლა და მარელისის საჯარო სკოლა) სასწავლო დაწესებულების ტუალეტებში არ არის განათება და არ დევს მუდმივად ტუალეტის ქაღალდი (ამის ძირითადი მიზეზად ასახელებენ ბავშვების მიერ არამიზნობრივ გამმოყენებას). არცერთ სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებას არ აქვს სადეზინფექციო საშუალებები (გამონაკლისია ბორის სკოლა-პანსიონი). იყენებენ მხოლოდ სარეცხ საშუალებს-ხსნარებს. (ამის მიზეზად ასახელებენ შესყდივის ხელმიუწვდომლობას). ტუალეტების დასალაგებელი ინვენტარი არის მარკირებული, ხოლო ტექნიკური გამართულობის შემოწმება ხორციელდება პესონალის მიერ. წყალაფორეთის საბავშვო ბაღში გასაკეთებელია ტუალეტი და არის საჭირო

დამლაგებელი, დამლაგებლების დამატება ასევე საჭიროა ბორითის, ვერტყვიჭალის, ხევისა და ხუნევის საბავშვო ბაღებში, ასევე დამლაგებლის დამატება არის საჭირო მარელისის, მოლითის დაბის N2, ვერტყვიჭალის, კიცხისა და ხუნევის საჯარო სკოლებში.

სასწავლო დაწესებულებებში ჰიგიენა შეტანილია სასკოლო კურიკულუმში და დაებითი ჰიგიენური ჩვევების სწავლება ხდება გაკვეთილზე თეორიულად, ხოლო სააღმზრდელო დაწესებულებებში კი თამაშებით.

სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში აუცილებელია წყლის პრობლემების მოგვარება, წყლის ხარისხის შემოწმება, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტუალეტების სისუფთავეს, საასენიზაციო ორმოების დროულ დაცლას, ტუალეტებში სისტემატიურად საპნის და ტუალეტის ქაღალდის არსებობაზე ზედამხედველობა. აუცილებელია შეძენილი იქნას ქლორშემცველი სადეზინფექციო საშუალებები დაწესებულებებში მიმდინარე დეზინფექციისათვის.

სკოლის მოსაწავლეებს ჩაუტარდათ ლექცია-საუბრები „სლაიდ შოუს“-ს თანხლებით და აგრეთვე საინფორმაციო სახის ბუკლეტების დარიგებით, ჰიგიენური წესების დაცვაზე, დაწყებით კლასებში და სხვადასხვა აქტუალურ თემებზე (თამბაქო, ალკოჰოლი, შიდსი და სხვა) უფროს კლასებში.

მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მიერ აღიარებულია ოფიციალური დღეები, რომლებიც აღინიშნება ყოველწლიურად, რათა ამ დღეს კიდევ ერთხელ გამახვილდეს საზოგადოების ყურადღება

სხვადასხვა დაავადებისა თუ მავნე ჩვევების მიმართ, რასაც ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრიც შეუერთდა:

10-16 მარტი - მარილის მსოფლიო კვირეული.
,,გადაერთე ნაკლებ მარილზე"
24 მარტი - ტუბერკულოზის მსოფლიო დღე
,,გამოავლინე, უმკურნალე, განკურნე"
31 მაისი - მსოფლიო თამბაქოს გარეშე.

„თამბაქოს ნაწარმზე გადასახადის ზრდის გზით ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება.

26 ივნისი - ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.

,,შენი სიცოცხლე - შენი საზოგადოება. არაა ადგილი ნარკოტიკებისთვის.

29 სექტემბერი – გულის მსოფლიო დღე.

ადგილობრივ პრესაში სხვადასხვა ინტენსივობით დაიბეჭდა სტატიები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე:

,,ცოტა რამ პროთეზირებასა და იმპლანტაციაზე“; „თანდაყოლილი ანომალიები არის საერთო ძვირი და კრიტიკული პრობლემა“; “ ქალი და ჯანმრთელობა“; “ მარილის მსოფლიო კვირეული აღინიშნა“; „გამოავლინე, უმკურნალე, განკურნე“; “ სიგარეტი მავნეა თქვენი ორგანიზმისათვის“; “ ნარკომანია კაცობრიობის უდიდესი უბედურება“; ,,სიჯანსაღე წარმატებული სწავლისთვის“; ,,გულისათვის ჯანსაღი გარემო“; „ცოტა რამ სოკოს შესახებ“; „მოერიდეთ გრიპს“; „უსაფრთხო მოძრაობა-შეანელე სვლა სიჩქარე კლავს“.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ, ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

კომისიის მუშაობის პერიოდი მოიცავს 2014 წლის 10 აგვიტოდან 2015 წლის 30 აპრილამდე. კომისიის შემადგენლობაში იყო 7 წევრი და 2014 წლის ბოლოს დაემატა 2 წევრი. წვრები არიან: აკაკი მაჭავარიანი, ჯამბულ გამცემლიძე, რომან შერგელაშვილი, გიორგი ლაცაბიძე, ვარლამ თავზარაშვილი, მერაბ ტალახაძე, ბესიკ ტალახაძე, კობა გოგსაძე, შალვა ლურსმანაშვილი.

ამ პერიოდის მანძილზე კომისამ ჩაატარა 21 სხდომა, 10 გეგმიური, ხოლო 11 რიგგარეშე. აქედან კომისამ დადო 19 დადებითი დასკვნა, ხოლო 2 პროექტზე კომისიამ უარყოფითი დასკვნა გასცა. კომისიის შეკრებებზე ქვორუმი არცერთხელ არ ჩავარდნილა.

კომისამ შეძლო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ადგილზე გასვლით, შეესწავლა 17 დაგეგმილი თუ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის შემდგომ განხილული და შემუშავებული იქნა რიგი რეკომენდაციები. კომისიას ინტენსიური ურთიერთობები აქვს ხარაგულის გამგეობის ეკონომკისა და ქონების მართვის, ასევე ინფრასტრუქტრურის სამსახურებთან, რომლებიც დროულ რეაგირებას ახდენენ კომისიისაგან წარდგენილ წერილებზე შესაძლებლობის ფარგლებში.

ინფრასტრუქტურის სამსახურთან ერთად, (ერთობლივად) მოხდა რეგიონალური განვითარეების ფონდის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების და სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხილვა და ადგილზე მონიტორინგი კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში.

კომისიის სხდომებზე ასევე განხილული იქნა მოსახლეობის კოლექტიური განცხადებები. განცხადებების საფუძველზე მოხდა შუამდგომლობის განევა შესაბსმის სამსხურებთან.

კომისიის წევრები გამოირჩევიან გამოცდილებითა და საქმისადმი პასუხისმგებლობის მაღალი მიდგომით.

დამატებითი დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ იხილოთ კომისიის მუშაობის მასალები: დასკვნები, ოქმები, რეკომენდაციები და წერილები.

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა ნომინაციაში „ანსამბლური სპექტაკლი“ გაიმარჯვა

21 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით ქ. ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში, ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2015“ მიმდინარეობდა. ხარაგაულის ო. აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, ფესტივალზე სპექტაკლით - „დარისპანის გასჭირი“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) წარსდგა. სპექტაკლის ჩვენებას ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი მეუფე დოსითეოზი (25 წლის წინ ხარაგაულში მისი რეჟისორობით დაიდგა პირველად „დარისპანის გასაჭირი“), ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, სხვა თანამდებობის პირები და ხარაგაულელი გულშემატკივრები ესწრებოდნენ.



ხარაგაულის თეატრი ფესტივალში, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც წარმატებით წარსდგა. სპექტაკლის ჩვენებამ სრული ანშლაგითა და ოვაციებით ჩაირა. ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ, თეატრმცოდნემ, ლაშა ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ ხარაგაულის თეატრი იმერეთის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია და იგი მიმდინარე ფესტივალზეც ღირსეულად წარსდგა. აღსანიშნავია, რომ ფესტივლაში იმერეთის რეგიონში მოღვაწე 14 თეატრი იღებდა მონაწილეობას.

„თეატრალური იმერეთი 2015“ -ის დაჯილდოების ცერომონიალი 6 ივნისს ქუთაისში გაიმართა. გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში სპეციალურად შექმნილმა ჟიურიმ (ჟიურის თავმჯდომარე ლაშა ჩხარტიშვილი, ჟიურის წევრები: ნერონ აბულაძე და თეიმურაზ ლანჩავა) გამოავლინა. ხარაგაულის თეატრმა ნომინაციაში- „ანსამბლური სპექტაკლი“ გაიმარჯვა, ხოლო რეჟისორი ირინე ჩხეიძე „დარისპანის გასაჭირში“ განსახიერებული ქალის როლის (მართა) მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებისათვის დაჯილდოვდა. ქალბატონ ირინეს დიპლომი „მწერალთა, ხელოვნათა და მეცნიერთა ეროვნულმა აკადემიამ“ გადასცა.

დაჯილდოების ცერემონიალზე ხარაგაულელმა, მრავალ კონკურსში გამარჯვებულმა სალომე კვირაკაშვილმა იმღერა, სალომე სულ ცოტა ხნის წინ ფესტივალის „იმერეთის ხმის“ გამარჯვებული და გრანპრის მფლობელი გახდა.

თეა ბერიძე,
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

სათავგადასავლო ტურ-თამაშების გამარჯვებული ზესტაფონის №7 საჯარო სკოლა გახდა

12 ივნისს ხარაგაულის კინოთეატრში სათავგადასავლო ტურ – თამაშების ფინალური ეტაპი გაიმართა. პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით ხორციელდებოდა. თამაში სამ ეტაპად მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობას ხარაგაულის 20 სკოლა, იმერეთის სკაუტური ორგანიზაციის გუნდი, სოფელ ძევრის საჯარო სკოლა და ზესტაფონის N7 საჯარო სკოლები იღებდნენ. თითოეული გუნდი დაკომპლექტებული იყო ცხრა წევრისგან იყო.

სათავგადასავლო ტურ–თამაშებში მოხდა გუნდების სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება. საკუთარი პრიზი- საათი, გამარჯვებულს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, დავით კიკნაძემ, გადასცა. ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის გუნდის წარმომადგენელმა ორგანიზატორს მამუკა ჭიპაშვილს მადლობის სიგელი და წიგნი უსახსოვრა.

სათავგადასავლო ტურ – თამაშებში ნომინაციები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1 – ბონუს კონკურსის გამარჯვებული – ბორის, ლაშისა და მოლითის საჯარო სკოლები გახდნენ;

2 – ყველაზე აზარტული გუნდის ტიტული წიფისა და ბორითის საჯარო გუნდებს ხვდათ წილად;

3 – ყველაზე მონდომებულ გუნდად – ვარძიის, ლეღვნისა და ხიდრის საჯარო სკოლის გუნდები დასახელდნენ;

4 – ყველაზე სწრაფები – იმერეთის სკაუტების ნაკრები, ხევისა და ვახანის გუნდები გახდნენ;

5 – ინტელექტუალური გუნდის წოდება – წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიამ, დაბის N3 და ძევრის საჯარო სკოლებმა მოიპოვეს;

6 – ორგანიზატორების სიმპათია დაიმსახურეს: ბაზალეთის, მარელისისა და ვერტყვიჭალის გუნდებმა.

საპრიზო ადგილები კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

პირველი ადგილი - ზესტაფონის N7 საჯარო სკოლა;

მეორე ადგილი - წყალაფორეთის სკოლა;

მესამე ადგილი - დაბის N2 საჯარო სკოლა;

მეოთხე ადგილი - კიცხისა და საღანძილის სკოლა.

ღონისძიების დასასრულს, რამდენიმე მაყურებელმა შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

ირინე ჩხეიძე – კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი:

„აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი ღონისძიებით. არა მარტო სათავგადასავლო ტურ-თამაშები, არამედ ყველა პროექტი, რომელსაც ტურიზმის სამსახური გვთავაზობს ჩემთვის მეტად შთამბეჭდავია. მინდა მადლობა გადავუხადო ამ პროექტის ავტორს, მრავალი თაობის აღმზრდელს, ახალგაზრდობის შეუცვლელ ლიდერს, მამუკა ჭიპაშვილს.“

ჭაბუკი ჭეიშვილი – საქართველოს სკაუტური მოძრაობის იმერეთის ორგანიზაციის დამფუძნებელი:

„სკაუტები პირველად ვმონაწილეობდით ამ ტურ – თამაშებში. პროექტი კარგად ორგანიზებული იყო. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ორგანიზატორებს. ჩვენი გუნდი მართალია, ვერ გავიდა შემდეგ ტურში, მაგრამ დადებითი ემოციებით დავიტვირთეთ, თუნდაც იმიტომ, რომ გავხდით „ყველაზე სწრაფების“ ტიტულის მქონე გუნდი.„

დავით კიკნაძე – საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი:

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის მიმდინარე წლის გაზაფხული სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებით იყო დატვირთული. გულწრფელად ვამბობ, რომ ასეთი სათავგადასავლო თამაშები, როგორიც ხარაგაულში ჩატარდა, შეიძლება საქართველოს მასშტაბით არც ჩატარებულა. ამ თამაშებში მთავარი იყო გუნდური პრინციპი, კოლექტიური თანამშრომლობა, სპორტი, მეგობრობა, ხელოვნება და ა.შ მადლობა ორგანიზატორებს, რომ ასეთ მაღალ დონეზე შესრულებული სპორტული აქტივობები გვაჩვენეს.

პაატა გოგოლაძე – გამგებლის პირველი მოადგილე:

,,ჩვენთვის ტურიზმის სამსახურის აქტიურობა ნამდვილად არ არის უცხო. თუმცა, უკვე მეორე წელია, მამუკა ჭიპაშვილი თავისი შემოქმედებით და ფანტაზიებით გვაოცებს. ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის გუნდს ვულოცავ გამარჯვებას და მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებ“.

ხარაგაულის მუნიციპალიეტტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით მსგავსი ტურ-თამაშები მომავალშიც გაიმართება.

თამარ მაღრაძე

სოფელ ბაზალეთში მცირე გამავლობის ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს

სოფელ ბაზალეთში მცირე გამავლობის ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 10 000 ლარით დაფინანსდა. ხიდი ერთმანეთს დევდარიანებისა და ლომსაძეების უბნებს დააკავშირებს. 15 ივნისს სამშენებლო სამუშაოები ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ადგილზე მოინახულა. როგორც ვარლამ ჭიპაშვილი ჩვენთან საუბარში განმარტავს, დევდარიანებისა და ლომსაძეების უბნებს წლების განმავლობაში ჰქონდათ ხიდის პრობლემა, რის გამოც შემოვლითი გზით უწევდათ გადადგილება. „წელიწადის ისეთ დროს, როცა უხვი ნალექი მოდიოდა მდგომარეობა უფრო მეტად უარსდებოდა. ამ მდგომარეობის მიუხედავად, პროექტის განხორციელებას რიგითი ადამიანები ეწინააღმდეგებოდნენ. აცხადებდნენ, რომ ხიდის აუცილებლობას ვერ ხედავდნენ. თუმცა, ჩემი აქტიური მუშაობით და მუნიციპალიტეტის გამგებლის კობა ლურსმანაშვილის დახმარებით, ეს პრობლემა გადაიჭრა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო მას“.

ბაზალეთში ხიდის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და სამუშაოები 20 ივლისს დასრულდება.

„მხიარული სტარტები“ ხევის სკოლის გუნდურ ფინალით დასრულდა

10 ივნისს ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში ხევისა და ვერტყვიჭალის საჯარო სკოლებს შორის „მხიარული სტარტების“ ფინალური შეხვედრა გაიმართა. გამარჯვებული და პირველი ადგილის მფლობელი ხევის საჯარო სკოლა გახდა. ფინალში გასულ ორივე გუნდს გადაეცათ თასები, ხოლო გამარჯვებული გუნდის ყველა მონაწილეს მედლები და სიგელები.

ღონისძიებაზე იმყოფებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე პაატა გოგოლაძე, რომელმაც ,,მხიარული სტარტების“ მნიშვნელობაზე ისაუბრა და დასძინა, რომ მოზარდებში ასეთი აქტივობები ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ბატონმა პაატამ მადლობა გადაუხადა ღონისძიებაში მონაწილე ყველა სკოლას, ხოლო ხევის გუნდს გამარჯვება მიულოცა.

„ბავშვები აბსოლუტური მონდომებით ვარჯიშობდნენ და შედეგსაც მივაღწიეთ. მსგავსი აქტივობები მომავალშიც თუ გაგრძელდება, ძალიან კარგია“, - აღნიშნა ხევის საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელმა, მარლენ გრიგალაშვილმა და ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა.

როგორც პროექტის ავტორი ხათუნა ტაბატაძე ამბობს, „გუნდები კარგად მომზადებულები იყვნენ და შედეგიც არაჩვეულებრივი აჩვენეს, რაც პედაგოგების დამსახურებაა. ბავშვების ჩართულობით თუ ვიმსჯელებთ, პროექტმა ნამდვილად გააამართლა. სამომავლოდ, ვგეგმავთ „მხიარული სტარტები“ ზონების მიხედვით ჩავატაროთ. რაც შეეხება ჟიურის, ვფიქრობ კომპეტენტური იყო. დახმარებისა და გვერდში დგომისთვის მინდა მადლობა გადავუხადო პროექტის მხარდამჭერებს: სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრს; საგანმანათლებლო რესურსცენტრს; კულტურის ცენტრს; წამყვანს- გიორგი ჭიპაშვილსა და ბატონ გოგი კვირიკაშვილს.“

თამარ მაღრაძე

ხევი-ნადაბურის დამაკავშირებელ გზაზე გაბიონები მოეწყობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხევი-ნადაბურის დამაკავშირებელ გზაზე, გაბიონები მოეწყობა. გამოცხადდა ტენდერი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. შესყიდვის ობიექტის ღირებულება 3390 ლარია, ხოლო პროექტის მთლიანი სავარაუდო ღირებულება - 120 ათასი ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა კოღოს წინააღმდეგ ბრძოლის აქცია ჩაატარა

5 ივნისს ხარაგაულში ა(ა)იპ „ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის„(დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) ორგანიზებითა და შპს „2001“ -ის (დირექტორი ზაზა კაციტაძე) მხარდაჭერით კოღოს წინააღმდეგ ბრძოლის აქცია ჩატარდა. აქციის ფარგლებში ამ ორგანიზაციების თანამშრომლებმა რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის სავალ გზაზე დაჭაობებული ადგილები გაწმინდეს და მიწით ამოავსეს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომელმა, ენტომოლოგმა მზია მაღლაფერიძემ, განაცხადა, რომ „დაჭაობებული ადგილები კოღოს გამრავლების დიდ საშიშროებას ქმნის. გაზაფხული და ზაფხული კი ის პერიოდია, როცა მწერებისაგან გადამდები დაავადებები აქტიურდება. კოღოს ნაკბენით გამოწვეული დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მნიშვნელოვანია ასეთი კერების ამოშრობა–გასუფთავება“.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწის, ნანა ბერაძის ინფორმაციით ასეთი აქციების ჩატარება მნიშვნელოვანია. „რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია ძალიან იყო დაჭაობებული და სასწრაფო ჩარევას საჭიროებდა. საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და შპს ,,2001–ის“ ერთობლივი ღონისძიებით დღეს, ეს პრობლემა მოგვარდა და, როგორც ხედავთ მოსახლეობაც კმაყოფილია. ზაზა კაციტაძე დიდი ენთუზიაზმით შემოუერთდა ჩვენს აქციას და კოღოს წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. სამსახურის სახელით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მას“.

აღსანიშნავია, რომ კოღოს წინააღმდეგ ბრძოლის აქციას მოსახლეობაც ესწრებოდა, მათ დიდი კმაყოფილება გამოთქვეს. დაჭაობებულ ადგილებში კოღოებისა და ბაყაყების მომრავლება ნამდვილად შეინიშნებოდა. მოსახლეობამ აქციის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან“ მიღებული ინფორმაციით მუნიციპალიტეტის მასშტაბით ასეთი აქციები პერმანენტულად გაგრძელდება.

თამარ მაღრაძე

ინტერესი და შემართება არ გაგნელებოდეთ!..

11 ივნისს ხარაგაულის N3 საჯარო სკოლაში მეოთხეკლასელებმა (კლასის ხელმძღვანელი ვენერა კიკნაძე) პირველ მასწავლებელთან დამსვიდობების ღონისძიება გამართეს.. ბავშვები ერთმანეთს ლექსებში, სიმღერებსა და ცეკვებში ენაცვლებოდნენ და ყოველივეს უდიდესი სიყვარულით პირველ მასწავლებელს უძღვნიდნენ.

„ჩვენ დღეს იმ ახლად შებუმბლულ ბარტყებს ვგავართ, რომლებიც ერთი პატარა ბუდიდან ასაფრენად ემზადებიან. ეს ფრენა კი თქვენ გვასწავლეთ„ - ასე ლამაზი სიტყვებითა და სიყვარულით ამკობდნენ ვენერა მასწავლებელს მოსწავლეები. წუხილით აღნიშნავდნენ პატარები, სწრაფად განვლილ ოთხ წელსა და პედაგოგთან განშორებას. „ახლა სინანულით გიყურებთ, ახალ სასწავლო წელს სხვებს გადაუშლით თქვენს კეთილ გულს, მიაპყრობთ თქვენს კეთილ თვალებს და ჩვენ? ჩვენ როგორ გავძლოთ უთქვენოდ? ჩვენც ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არ შეგარცხვინოთ, ჩვენო მასწავლებელო.„

– ასე მგონია, გულის ნაწილი მიჰყვება ხოლმე ჩემი ოთხწლიანი ბუდიდან აფრენილ ბარტყებს. მაგრამ ამით როდი ვამთავრებ მათთან ურთიერთობას. შემდეგ კლასებში მუდამ ვაკონტროლებ მათ აკადემიურ მიღწევებს.

თავს არ ვიქებ, მაგრამ გულგრილად ვერაფრს ვაკეთებ. მთელ ძალასა და ენერგიას ვახმარ ჩემს საყვარელ საქმეს და ასე იქნება მომავალშიც, სანამ ამ დიდებულ კლდეებში მუშაობის საშუალებას მიბოძებს ზენაარი.

მშობელმა: ეკა ლურსმანაშვილმა და გულო გამრეკელიძემ მადლობა გადაუხადეს ამაგდარ მასწავლებელს იმ დიდი სიყვარულისთვის, რითაც იყო დატვირთული ვენერა მასწავლებლის მიერ კლასთან ურთიერთობის ყოველი დღე.

მერი გიორგიძემ აღნიშნა, რომ ვენერა მასწავლებელთან მიმართებაში წლები უკან იხევს. ახალგაზრდული ენერგია ახლავს მუდამ ქალბატონ ვენერას. იგი მუდამ სიახლეების ძიებაშია და ნამდვილად აღწევს შესატყვის წარმატებებს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა ნანა კვინიკაძემ მადლობა გადაუხადა წარმატებულ მასწავლებელს, ხაზი გაუსვა მის შემართებას, ინტერესს, გულისხმიერებას, უშრეტ ენერგიას. როცა ვენერა მასწავლებელს უყურებენ ახალბედა პედაგოგები, მათი ინტერესი ძლიერდება და ეს ხომ ძალიან სასიკეთოა ჩვენი მომავლისათვის.

ვენერა მასწავლებლის სამი მოსწავლე, გიორგი ლურსმანაშვილი, ლუკა ღონღაძე და კობა ფურცელაძე მათემატიკასა და ქართულში გადავიდნენ ოლიმპიადაზე III ტურში, ასევე ქართულის მესამე ტურში გადავიდა თამარ ტალახაძე. მალე ვენერა მასწავლებელი დაჯილდოვდება „წარმატებული მასწავლებლის„ საპატიო სიგელით.

საყვარელი საქმისადმი ინტერესი და შემართება არასდროს გაგნელებოდეთ, ჩვენო ვენერა მასწავლებელო!

სოფელ ვარძიის საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება ჩატარდა

13 ივნისს ხარაგაულის რაიონის სოფელ ვარძიის საბავშვო ბაღში (გამგე იზოლდა ხიჯაკაძე) გამოსაშვები ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიებას ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ირმა სებისკვერაძე, გაერთიანების დირექტორის მოადგილე თამარ ავალიშვილი და აღსაზრდელთა მშობლები ესწრებოდნენ.

ბავშვებმა ლექსებით, სიმღერებით და ულამაზესი მხატვრული კომპოზიციებით მეტად შთამბეჭდავი სანახაობა გვაჩუქეს.

ვარძიის საბავშვო ბაღის გამგემ, იზოლდა ხიჯაკაძემ პატარებს ბაღის დასრულება მიულოცა და აღნიშნა რომ, „ვარძიის საბავშვო ბაღში

ამ ეტაპზე სულ 17 აღსაზრდელია, აქედან 7 სასკოლო ასაკისაა. სექტემბრიდან ბავშვების რაოდენობა 22 -მდე გაიზრდება. როგორც ყველა ახლად აშენებული ბაღი, ჩვენი ბაღიც 25 ბავშვზეა გათვლილი.“ ქალბატონმა იზოლდამ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელს კობა ლურსმანაშვილს და სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს ირმა სებისკვერაძეს თანადგომისათვის, ხოლო პედაგოგებს - პატარების აღზრდაში გაწეული შრომისთვის.

„დღევანდელი დღე სოფელ ვარძიისთვის ნამდვილად მოსალოცია“ - აღნიშნა ღონისძიების დასასრულს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, ირმა სებისკვერაძემ და აქვე განმარტა, რომ საბავშვო ბაღი სოფელ ვარძიაში წლების განმავლობაში არ ყოფილა. წელს კი, ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით, ეს პრობლემა გადაიჭრა. ქალბატონმა ირმამ აღსაზრდელებს დღევანდელი დღე მიულოცა და ბაღის კოლექტივს მადლობა გადაუხადა ასეთი შთამბეჭდავი ღონისძიებისათვის.

ლეილა შველიძე – ვარძიის საჯარო სკოლის პირველი კლასის პედაგოგი:

„ის, რაც ბავშვებმა დღეს მოგვასმენინეს, რა ცოდნაც მათ ბაღიდან სკოლაში მოაქვთ, ამის შესწავლას ჩვენ მთელი წელი ვუნდებოდით. მადლობა პედაგოგს დაუღალავი შრომისა და ბავშვების შესატყვისი ცოდნით შეიარაღებისთვის.

თამარ მაღრაძე

განცხადება

2015 წლის 25 ივნისს ა(ა)იპ ხარაგაულის კულტურის ცენტრისა და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით ხარაგაულში ქორეოგრაფიული ფესტივალი „კიდევაც დაიზრდებიან“ გაიმართება. ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლია მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა ქორეოგრაფიულ ანსამბლს. ანსამბლების რეპერტუარი განისაზღვრება ორი ნომრით. ფესტივალის მიზანია, მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება ქართული ხალხური ცეკვის ნიმუშებით, ქართული ხალხური ცეკვის აღდგენა, განვითარება, შესწავლა და ეროვნული კულტურის შენარჩუნება.

ქორეოგრაფიულ ფესტივალში მონაწილე ანსამბლებს გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები და დაჯილდოვდებიან სიგელებით.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 595 51 98 27; 593 36 32 31

მილოცვა

საყვარელ დედას, ბებიას, დიდედას, უსათნოეს ქართველ ქალს –

ქეთევან კუბრტანიძე – ფურცელაძეს

ვულოცავთ ღირსეული ცხოვრების 90 წლისთავს.

ჩვენო უსაყვარლესო ქალბატონო! თქვენი შინაარსიანი ცხოვრებით ნათელი კვალი აღბეჭდეთ რაიონში ჯანმრთელობის სფეროში, ოჯახში, სამეზობლოსა და სანათესაოში.

შევთხოვთ უფალს, რომ დიდხანს, კვლავ დიდხანს აბედნიეროთ თქვენი სიცოცხლითა და ჯანმრთელობით თქვენი ნაამაგარი კერა.

სიყვარულით – შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილი ანა თურმანიძე

გამომცემელი ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12